ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№6, 26 ივნისი, ორშაბათი, 2017 წელი

2017 წლის 7 ივნისს, პროექტ „ვარსკვლავთცვენის" ეგიდით, ხაშურის ინტელიგენციამ თანამედროვეობის გამორჩეულ პოეტს – ტარიელ ხარხელაურს უმასპინძლა. გთავაზობთ ქ-ნ მანანა დანგაძის ინტერვიუს პოეტთან, რომელიც ჟურნალ „გზაჯვარედინი"-ს ფურცლებზე დაიბეჭდა.

„სამშობლო ლოცვაა"

– ტარიელ, ტრადიციული შეკითხვით დავიწყოთ, საიდან მოდიხარ, როგორი იყო შენი ბავშვობა, გარემო?

– არ ვიცი, რას უნდა დავაბრალო, გონების სიმწირეს თუ ფიქრთა სიღარიბეს, რომ თითქოსდა ძალზე მარტივად ასახსნელ საკითხს ვართულებ და მისტიციზმის ბურუსში ვხვევ. როგორ დავიჯერო, ჩემი სამზეოდ ყოფნა მხოლოდ პოეზიის მსახურებაა და მეტი – არაფერი. თუ ეს ასეა, არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში ვყოფილვარ! ლექსის გარდა, ჩემგან წუთისოფელს განა არარა დარჩება?! ვერ ჩავწდომივარ არსს განგებისას და ყოველდღიურად ეჭვის თვალით შევყურებ ჩემს ირგვლივ მოძრავ სამყაროს, ჩემი სულივით რომ ბორგავს და ნიადაგ გაურკვევლობაში მამყოფებს... არ ვიცი, საიდან მოვდივარ და არც ის ვიცი, ვინა ვარ? ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, დროს მოეკითხება, თუ, რა თქმა უნდა, მომავალი ამით დაინტერესდება. რაც შეეხება ბავშვობას, მკრთალად მახსოვს, ბუნდოვნად ვხედავ და არც არასდროს დამიტანჯავს თავი სიყმაწვილის სურათების გასახსენებლად. ალბათ, არც არა იყო საინტერესო, თორემ გონების ნემსკავს ხომ რაღაც მაინც წამოედებოდა, ალბათ, ისევე მარტივი, როგორც ჩემი თანასოფლელი ბავშვების ყოფის ფრაგმენტები.

– „მამაჩემო, თოვლისფერო, დედაჩემო, ფერო მიწის" – ერთგან ასე მიმართავ მშობლებს. რით ჰგავხარ მათ?

– ვერ აგიხსნი, რატომ მაინცადამაინც ამ უაღრესად მწირი თოვლის ფერით მოვინდომე მამაჩემის სურათის დახატვა, ალბათ, ეს შინაგანი ხმისა და გონების ჰარმონიული მუშაობის შედეგია, მაგრამ მიწისფერი დედის და, არა მხოლოდ, დედაჩემის შინაარსთან რაღაცანაირად, უფრო ახლოს მეჩვენება, შეიძლება ეს ერთგვარი პოეტური ხერხიც იყოს დედის სახის ფილოსოფიური შინაარსით დასატვირთავად, როცა წერისას ახდენ შენი სულიერი და გონებრივი მოთხოვნილების რეალიზებას, მხოლოდ მაშინ პოულობ შინაგან სიმშვიდეს. იმაზე კი, თუ რა გადმოვიდა ჩემში ან ერთის, ან მეორესგან, შემიძლია ვთქვა: კაცთმოყვარეობა და ამ მიწის ტრფიალი. ისე კი, არც არასდროს მქონია სურვილი ან დედა, ან მამა ჩემი სახის პროტოტიპად მიმეღო.

– რა ასაკში მოვიდა ლექსი სულ პირველად, ხომ არ ჰქონდა რაიმე წინაპირობა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე?

– ალბათ, შორეულ სიყმაწვილეში, როცა ლექსთან თამაში ერთგვარი გატაცება მეგონა, თუ ჩამოვწერე პირველი სალექსო ტაეპები, ეს იყო, ალბათ, ცნობისწადილის დაპურება და ერთგვარი ხერხიც აკვიატებული ლანდების ჩამოცილებისა, რადგან, რაც თავი მახსოვს, ამ უსხეულო აჩრდილთა სამყაროში მიწევს ცხოვრება. არც მაშინ, ჩემი ბავშვობის გარიჟრაჟზე, და არც ამჟამად, თვითმიზნად არა მქონია ლექსით სახელის დამკვიდრება.

– რა არის შენთვის მთა, რასთან ასოცირდება მისი სურნელი?

– მთა ჩემთვის მიკროსამყაროა, არა მხოლოდ ის, რაც გარედან ჩანს, რაც მის გარშემო ბრუნავს, – მთა ჩემი გონებისა და ფიქრის მარადიული წიგნია. იგი ძალიან დიდ დახმარებას მიწევს პიროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში. მთა ჩემთვის ისეთივე მოძღვარია, როგორც ვაჟა-ფშაველა, ისეთივე მაგალითი გაუტეხლობისა, როგორც ილია ჭავჭავაძე... ასე უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო მსჯელობა იმაზე, თუ ვისთან ასოცირდება სურნელი მთისა. დედაჩემის სურნელსაც ხშირად მაგონებს იგი, რადგან დიდხანს მომიწია მთაში ცხოვრება და ღამით, როცა თავს მთის ცვრიან კალთაზე ვდებდი, მშობლის კალთის სითბოსა ვგრძნობდი.

– ლექსის სიყვარულმა და ერთი მადლიანი ადამიანის რჩევამ უნივერსიტეტის კარამდე მიგიყვანა. როგორი იყო სტუდენტობა, ვინ იყო პირველი მსმენელი?

– იმ ადამიანის რჩევამ შეასრულა დიდი როლი, რომელსაც იაკობ ბობოხიძე ერქვა. საკმაოდ დიდი დრო და ბრძოლა დასჭირდა სახელოვან კომპოზიტორს, ვიდრე დამარწმუნებდა, რომ მეც ვიყავი ღირსი ამ პატივისა და უნივერსიტეტის წმინდა კედლებში, თავს შინაურად მეც მალე ვიგრძნობდი.

– როგორი იყო პირველი ნაბიჯები პოეზიის უსასრულო კიბეზე, რამდენად ორგანულად შემოვიდა შენში მავანთათვის მნიშვნელოვანი სიტყვა „პოპულარობა"?

– მოვედით იმ სახიფათო კითხვასთან, რომელიც სცილასა და ქარიბდას მაგონებს ხშირად და ძალზე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. შინაგანად ვგრძნობდი, ამ კითხვას ვერ გავექცეოდი და ადრე თუ გვიან, მაინც მომიწევდა მასზე პასუხის გაცემა. თუმცა, შენთან საუბარი და მსჯელობა მიადვილდება, ჩვენი მეგობრობიდან გამომდინარე.

როდესაც ჩემს პირველ გამოსვლას ასეთი ხმაური მოჰყვა, გავვოგნდი, ეჭვიც კი შემეპარა. ქართული ლიტერატურა პოეზიით შიმშილს არასოდეს განიცდიდა და ვერ ვხვდებოდი, რისგან იყო ეს ხმაური გამოწვეული. მომიტევეთ შენც და მკითხველმაც, თუ ჩემთვის წყნარად და უხმაუროდ ყოფნა უფრო მისაღები იყო, რადგან ასეთი მდგომარეობა ნაკლებ ხიფათს მიქმნიდა. არც ის ვიცოდი, რამდენად ვიყავი მზად, რომ ასე მოჭარბებული ყურადღება სულიერ სიმშვიდეს არ დამირღვევდა და შევძლებდი თუ არა ამ პოპულარობის ტვირთის ზიდვას. ალბათ, ასაკმაც და გარემოებამაც შემიწყო ხელი, რომ მკითხველის ეს სიყვარული არ მივისაკუთრე და ყველა კარი ჩავკეტე საიმისოდ, რომ არ გამეცა. მე უფრო ამ უკანასკნელისთვის ვიყავი მზად, – გამეღო და, თუნდაც სანაცვლოდ, არაფერი მიმეღო. დღევანდელი გადასახედიდან თუ გიმსჯელებთ, არ ვიქნები მართალი, თუ დავიჟინებ, ეს ყურადღება არ მსიამოვნებს - მეთქი, მიუხედავად იმისა, ნამდვილად მეკუთვნის თუ არა. აქ მხოლოდ ჩემ თავზე საუბრით შემოვიფარგლე, რადგან სხვათა საქციელის განსასჯელად არც მზადა ვარ და არც სურვილი მაქვს. ყველანი პასუხს ვაგებთ არსთა განმრიგის წინაშე, ვინ როგორ ვიღვაწეთ იმ მადლით, რაც უფლისგან გვებოძა.

– უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, კვლავ მშობლიურ გარემოს დაუბრუნდი...

– ისევ მთას, ისევ მეცხვარეობას. ეს, თუნდაც გონებრივ მოთხოვნილებად ჩამითვალეთ. ვიყავი იქ, სადაც თავისუფლების შეგრძნება ჩემს სიმშვიდეს სრულიად აკმაყოფილებდა.

– ერთ-ერთ შენს საღამოზე დასმულ შეკითხვაზე – ეგ მშვენიერი სატრფიალო გნომა ვის ეძღვნებაო? – ძალიან გულწრფელად უპასუხე – ჩემს მეუღლესო. რა როლი აქვს ქალბატონ მარინეს შენს ცხოვრებასა და შემოქმედებაში?

– სათავე ჩემი ლირიკისა მეუღლეა და დასასრულიც ის გახლავთ, გამიჭირდება შევძლო, რომ ამ წუთისოფლიდან ჩემი გასვლის შემდეგ დავტოვო სახე, თუნდაც ოდნავ ახლოს მყოფი იმ ქალის სახესთან, რომელმაც ყველაფერი გაწირა, ყველაფერი გაიღო ტარიელ ხარხელაურის ქართულ პოეზიაში მოსასვლელად და დასატოვებლად. ეს ისეთივე გზავნილია უფლისგან შენს გადასარჩენად, როგორც მადლი პოეზიისა წუთისოფელში დასამკვიდრებლად.

ინტერვიუ

– სახარება გვასწავლის: „გიყვარდეს მოყვასი შენი... მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, მოგექცნენ. ვინც მახვილით მოდის, მახვილისგან დაეცემა“. რამდენად შეძელი ამ მცნებით ცხოვრება, იმის გათვალისწინებით, რომ ბედისწერამ უმწარესი გამოცდა მოგიწყო...

– ჩემთვის ამ თემაზე საუბარი მტკივნეულია... ყველაფერს დავთმობდი, რაც კი ამ სიცოცხლეში მიკეთებია, რომ ბოლომდის ვიცხოვრო იმ სწავლებით, რასაც წმინდა წიგნი გვასწავლის. უმეტეს დროს, სწორედ, ამ სწავლებაზე ვხარჯავ, არ ვიტყვი, რომ ძალიან იოლია ან ყოველთვის ისე გამომდის, როგორც საჭიროა.

– ვისგან სწავლობ ან გისწავლია, ვისი ცხოვრება გაგიხდია სამაგალითოდ?

– რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, აქ არ მჭირდება ცნობილი სახელების მოშველიება. ამას პაპაჩემი, დედაჩემის მამა, სხვათა და სხვათა დაუხმარებლადაც კარგად ართმევდა თავს, და ახლაც, მხოლოდ პაპაჩემის წინაშე ვარ პასუხისმგებელი.

– რა არის შენთვის სამშობლო? მეცნიერები და პოლიტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ ომს პროგრესი მოაქვს. ნუთუ, ის საფრთხე, რის წინაშეც აღმოვჩნდით, და რომელიც ცეცხლით, მახვილითა და სისხლით მოდის პროგრესის მომტანია?

– დარწმუნებული რომ ვიყო, იმ განცდას, რასაც ჩემი ქვეყნის მიმართ ვგრძნობ, ჩემი მწირი სიტყვის შემწეობით გადმოვცემ, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები. ზოგჯერ სამშობლო ლოცვაა, ჩემს დაშაშრულ ბაგეზე თეთრი ნისლივით განფენილი, ზოგჯერ პოეზიაა, ჩემი მარადიული სატანჯველი. სამშობლო სიყვარულია, უფლის სიყვარულთან გათანაბრებული, სამშობლო ჩემს სისხლში, ჩემი ნერვის ყოველ თრთოლვაშია, ჩემი ტკივილია ძილშიცა და ღვიძილშიც. მუსიკაა, მკრთალი ნათელივით რომ ეღვრება დაღლილ სულს, უფლის სანთელია, წუთისოფლის გადასარჩენად ანთებული.

– ვიდრე ახალგაზრდები ვართ, დროის ფასი ნაკლებად ვიცით. წლების მატებასთან ერთად, მით უფრო ვხვდებით, რა ძვირფასია თითოეული წუთი, ვერ ვასწრებთ იმას, რისი გაკეთებაც გვინდოდა, ვნანობთ...

– წინდაწინ ვერ განსაზღვრავ სიგრძეს გზისას, რომელიც უნდა გაიარო. ადამიანი მოლოდინით არ უნდა ათენებ-აღამებდეს, სადაა ამის ფუფუნება! კაცისთვის, თუ ის პოეზიას ემსახურება, ერთ დროში ცხოვრება არაგონივრულად მეჩვენება. უნდა იცხოვრო შენი დროით და, თუ ჭეშმარიტად შემოქმედი ხარ, შემოქმედებით მუდმივად უნდა იწვოდე. რაც შეეხება მოსწრებას, ვწერ იმას და იმდენს, რასაც უფალი მკარნახობს, არცა მეტს, არცა ნაკლებს.

– ჩვენს დღევანდელ ყოფაში ყველაზე მეტად რა გაღიზიანებს და რა გაძლევს იმედს?

– გაღიზიანებით – ბევრი რამ... ჩემი ქვეყნის ტრადიციების უგულებელყოფა, ტრადიციებისა, რომლებშიც ერის ხასიათია დაუნჯებული. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო განახლებისა, თუ ეროვნულ ღირსებას რაიმეში წაადგება, მაგრამ რატომ გვგონია, რომ სხვისი ჩვენსაზე უკეთესია? აი, რა მტანჯავს. აი, რა არის ჩემი ფიქრის საგანი, თეთრად გათენებულ ღამეთა სასთუმალი; ვჯავრობ საკუთარ თავზე, რომ ქვეყნის სარგოს ვერაფერს ვაკეთებ. რაც შეეხება იმედს, სამწუხაროდ, ნელ-ნელა მიქრება, თუ არ გამოჩნდა აზრი, რომელიც ერს გააერთიანებს. მე კი, დიდი პოეტისა არ იყოს, „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუდუნებ“.

– დღევანდელ მწერლობაზე რას გვეტყვი?

– როგორც საზოგადოება, ისე მწერლობაც დაიყო. გაჩნდა სხვადასხვა პარტიული დაჯგუფება. მწერლობას დაეკარგა ფუნქცია ერის მსახურებისა. საუკუნეთა წიაღში ეს იყო მისი უპირველესი ნიშანი, დანიშნულება. დღეს საზოგადოება ცალკეა, მწერალი — ცალკე, ერთმანეთის აღარა ეყურებათ — რა. ჩატეხილი ხიდის აღსადგენად აღარავინ იღვწის. დავცალცალკევდით, ერთმანეთს გავუვუცხოვდით, დავიქსაქსენით. აი, რასა ბრძანებს დიდი ილია: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. აი, რა გვაკლია!

აი, ჩვენი მწერლობის ავადმყოფობის ზუსტი დიაგნოზი, ერის წინამძღოლობა, რომელიც სხვას გადავულოცეთ, რომ პასუხისმგებლობა ქვეყნის, მომავლის წინაშე თავიდან აგვეცილებინა...

– ჩვენს თაობას ძალიან ეკლექტიკურ დროში მოუწია ცხოვრება, ბევრი რამ შეიცვალა, გადაფასდა. ის, რაც ჩვენთვის ფასეული იყო, ფსკერზე მოექცა, ზემოთ კი ამოტივტივდა სულ სხვა რამ. უფრო მეტიც, წესიერება, პატიოსნება თითქოს დასაცინი გახდა...

– ჩვენს თაობას სხვა დროში და სულ სხვა გარემოში მოუწია ცხოვრება. ვგრძნობდი, ეპოქის საფრთხე როგორ ემუქრებოდა ჩვენს ეროვნულ ღირსებებს. ჩვენი თაობის მოთხოვნა სრულიად ემთხვეოდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, თავისუფლებას, „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას“, მაგრამ მოპოვებული თავისუფლება ერის გონებრივი თავისუფლებისთვის ვერ გამოვიყენეთ, ვერ შევძელით, საზოგადოება თავისი თავის „ყუდნებაში“ გაგვეცნობიერებინა და ეს საქმე მომავალ თაობას გადავულოცეთ. ჯერი მათზეა ...

– ჩვენს თვალწინ ყალიბდება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული, ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა წარსული, წინაპარი, ტრადიცია. ეს ადამიანი გლობალიზაციის პირმშოა. მისი რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. რა ხდება, საით მივდივართ? ნუთუ, ეს სამყაროს დასასრულია თუ, პირიქით, ბოლომდე უნდა ჩავამთავროთ ეს გარყვნილ-დაბინძურებული დაღმართი და მხოლოდ შემდეგ დაიწყება ამაღლება?

– „რა გითხრა, რით გაგახარო?!“ ალბათ, არ ვიყავით თავისუფლებისთვის მზად, ან თავისუფლება ეს გვეგონა. დღეს საზოგადოება ერთი კაცის ძიებაშია. ასეთი კაცი გვყავდა და წიწამურთან შუბლი ტყვიით გავუხვრიტეთ. მეორე ასეთ კაცს სამეგრელოს ტყეებში დავაწიეთ ტყვია. ეტყობა, ასეთი კაცები მხოლოდ საამისოდ გვჭირდება! კიდევ დიდხანს თუ არ გამოვფხიზლდით, თუ არ ავიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ქვეყნის წინაშე, მეჯღანუაშვილების ეპოქაში კიდევ უფრო გაგვიჭირდება, და ის ახალი ადამიანიც ამ ეპოქის მკვიდრია, ამისთვისაა შექმნილი. ასე რომ, ძალიან ხშირ, გაუვალ ბურუსშია გახვეული ქვეყნის მომავალი, რადგან, რა გვინდა და ვისთან გვინდა, თავადაც ვერ გავრკვეულვართ.

– რას უსურვებ ჟურნალ „გზაჯვარედინს“?

– „გზაჯვარედინს“ საპატიო მისია აკისრია. მინდა ვუსურვო, რომ მწერალს შეახსენოს თავისი ფუნქცია; ერი გამოაფხიზლოს, დაეხმაროს სწორი მიმართულების არჩევაში; ყურადღება მიაქციოს იმ მტკივნეულ საკითხებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ვუსურვებ გამძლეობას ყველაფრის გათვალისწინებით და აღებული გეზის დაუთმობლობას. იგივეს ვუსურვებ გაზეთ ,,ლიტერატურულ ხაშურს”.

P. S. – **რას გვეტყვი იმ საღამოს შესახებ, რომელიც ხაშურში, 7 ივნისს შედგა?**

– ხაშური რომ დიდი კულტურული მემკვიდრეობის ქალაქია, ეს არახალია... მიხარია, რომ ჯერ კიდევ ბავშვობიდან აღიარებული პოეტი ქალბატონი – ეკა ბაქრაძე ასე ღირსეულად და მაღალი გემოვნებით აფერადებს მშობლიური ქალაქის კულტურულ ცხოვრებას, რაც მის **„ვარსკვლავთცვენა”**-ს მართლაც, ეტყობა.

დააფასო სხვისი ნიჭი და ხელოვნება, ეს ცალკე ნიჭია.

– მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

პოეზია

ნელი ლობჟანიძელი

* * *

ფერადი სიზმრის უფერო არსით
გამყლავნებულა შავ–თეთრი ყოფა...
მანვალებს ნამყო – მკაფიო ფარსი
და საკითხავი ყოფნა–არყოფნა...
დრო უკან რჩება ყველაზე მკაცრი
და საბოლოოდ კვდება შიოლა...
დღეს სივრცეებში მინვევს ზეკარი,
სულს სულიერი საზრდო შიოდა...
ხანმა უნდობმა მაინც დამინდო,
შემომაპარა ტკბილი საგზალი,
ბედმა ხელებში ფანდი ჩამიგდო
და ცხრა მთას იქით, შენთან მაგზავნის...

მე და ღამე

ისევ დალამდა, ისევ მოვიდა,
ისევ მომხიბლა და მიმიტყუა...
ისევ მზადაა ჩემი კორიდა
და ვირტუალურს ვინყებთ რიტუალს...

მუზა ფრთხილია და ეჭვიანი,
ერთი ღალატი არ მაპატია,
რა ჩამჩურჩულა სიტყვა ფრთიანი,
შემომახვია ფიქრის მანტია...

და აიკრიფა გუდა–ნაბადი
და შემოვუშვი მუზა მეორე...
ამბრი, სიტყვებით გადანაბარდნი,
ახლა, მუსიკით გავიმეორე...

გადმოიღვარა სული ბგერებად
და ამოყღერდა ამოუთქმელი...
მათრობს, მაბრუებს და მეფერება
რიჟრაჟი ზანტი და მოუქნელი.

ფიქრის მუმია

ცაზე ღრუბელს თოხნის
ნახევარ–მთვარე...
ცა ქუდად არ მყოფნის,
სტრიქონს ვამთავრებ...
ქრის, ოთახში ბუხრის
თბილი სუნია
და კაცვით ოხრავს
ფიქრის მუმია...
ამ უმძიმეს წუთებს
მოთქმით დაათრევს
და ჩემს მუზას უთევს
კედლის საათი.

* * *

ისე გამიჯდა სულში და ტანში
უხეში ხვედრის მეტასტაზები,
ცრემლს ძველებურად გემო აქვს მლაშე
და მანანევრებს მთვარე ფაზებად...
სამად იყოფა ეული ფიქრი...
და სამჯერ სამად, უფრო მეტადაც.
სულის ტოტებზე ბინადრობს ფითრი
და დამავინყა, თუ რა მენადა...
ნეტავი, ჩემგან რაღა დარჩება,
გადაიკარებს როცა ბალღამი.
ეს გულჩვილობა ისევ დამჩემდა,
რაღა გაათევს ახლა ამ ღამეს...
დღეს, კიდევ ერთხელ, ბედმა დამცინა,
მტეხს მარტოხელა დედის ბორკილი...
და გათენება ისე მამძიმებს,
რომ ღმერთს მივენდე, ბედის მორჩილი...

სამადლობელი

ნყალობა მომაკელი,
ცდუნებას თუ ავყვე,
წარსული უღმერთო
დღეების ბრალია,
ამდენ ხანს შეჩვეული
ეშმაკი უარვყავ,
შენს კალთას მინდობილმა,
დედაო მარიამ!..

მოიტანა რითმამ
და ვაღიარებ,
რომ ამ დღეებს ვითმენ,
რომ ვაგვიანებ...
რომ მიჰქრიან წლები
როკვით, აურით,
კვლავ სარკმელთან წვება
ღამე, ხმაურით.
ცაზე ღრუბელს თოხნის
ნახევარ–მთვარე...
ცა ქუდად არ მყოფნის –
სტრიქონს ვამთავრებ.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ამომავალი მზის სახლი

ამასწინათ, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხაშურელმა მოსწავლეებმა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს, რომელსაც ადგოკატი – ეკა ლაკრაბიძე ხელმძღვანელობდა. პოეზიაზე შეყვარებული ახალგაზრდები ღრმა გრძნობითა და არც თუ ურიგო ოსტატობით კითხულობდნენ გემოვნებით შერჩეულ ავტორთა ლექსებს – კლასიკოსებით დანყებული, თანამედროვე, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი სახელებით დამთავრებული. არცერთი მდარე, უნიჯო ფრაზა, რომლითაც, საბნუხაროდ, გაჯერებულია დღევანდელი ლიტერატურული გამოცემები, განსაკუთრებით – ინტერნეტ-სივრცე.

ჯეშმარიტი პოეზია ამბობდა სათქმელს...

და, უნებურად, ნლების წინ, თბილისში, ჩემს მიერ დაარსებული ხელოვნების სალონი „მუზა" გამახსენდა და მსახიობების ჯგუფთან და რეჟისორთან ერთად შექმნილი „პოეზიის თეატრი", რომელიც მაშინ ახალი ხილი იყო საზოგადოებისთვის. არაერთი ხელოვანი და ხელოვნების მოტრფიალე სტუმარი სტუმრობდა ჩვენს სალონს, რომელიც თეატრალური გარემოთი და საინტერესო შეხვედრებით გულგრილს არ ტოვებდა მსმენელ-მაყურებელს. მსახიობებთან მუშაობამ და გამოცდილებამ საშუალება მომცა, ხაშურში დაბრუნებულს, აქაც გამეცოცხლებინა სალონური საღამოები. თავდაპირველად, ნიჯიერი ბავშვები შევკრიბე და ენთუზიაზმით ატაცებულებმა, პოეზიის ენით გადმოვეცით საქართველოს ნარსულის მნიშვნელოვანი, ქრონოლოგიური მოვლენები. ამას მოჰყვა პროექტი „ვარსკვლავთცვენა", რომელიც მეხუთე წელია, ადგილობრივ შემოქმედ ადამიანებთან ერთად, ცნობილ ხელოვანებსა და საზოგადო მოღვაწეებს მასპინძლობს ხაშურში.

და აი, ახლა, ამდენი ნლის შემდეგ, როცა ამ არაჩვეულებრივი გოგო-ბიჭების გულის-გულში გატარებულ პოეტურ პანაცეას ვუსმენდი, მომავლის იმედისა და რწმენის შეგრძნება ერთი-ორად მიჩუყებდა გულს.

გზა დავუღოცოთ „ამომავალი მზის სახლის" ახალგაზრდებს, ხელი შევუნყოთ მათ მშვენიერ ნამონყებას და მათ ხელმძღვანელს – **ეკა ლაკრაბიძეს** მოვუსმინოთ.

ეკა ბაქრაძე

ეკა ლაკრაძე

ჩვენი ჯგუფის შექმნა უცნაურად მოხდა: ერთ ჩვეულებრივ დღეს, ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეები – მართა ბურნაძე და ლუკა ლაკრაბიძე მესტუმრნენ. მითხრეს, რომ მონაწილეობდნენ პროექტში – „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „crystal"-ის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის პირველ ეტაპზე – „ბიზნესი ერთი კვირით" და სურდათ, საქველმოქმედო პოეზიის საღამოს ჩატარება, რომლისგან შემოსული თანხა სურამის უპატრონო ბავშვთა სახლში გადაირიცხებოდა.

პროფესიით ადვოკატი ვარ, თუმცა, ძალიან მიყვარს ლიტერატურა და პოეზია, რის შესახებაც ბავშვებმა იცოდნენ. დიდი ფიქრი არ დამჭირდა, სასწრაფოდ მოვძებნე პოეზიაზე შეყვარებული მოსწავლეები და 2 დღეში შევადგინე პროგრამა, რომელიც მოიცავდა როგორც ძველი, ისე თანამედროვე პოეტების შემოქმედებას.

პროექტის განსახორციელებლად სულ 4 დღე გვქონდა და ამ დროში, როგორმე უნდა ჩავტეულიყავით. არავინ გვიცნობდა, არც სათანადო მატერიალური სახსრები გაგვაჩნდა, ამიტომაც დარბაზის პოვნა გაგვიძნელდა.

და აი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სითბოსა და სიყვარულის, ახალგაზრდებისთვის სტიმულის მიმცემი კერა, სადაც იციან ხელოვნებისა და პოეზიის ფასი...

„მობრძანდით, ბავშვებო" – ასე მიგვიღეს მუზეუმში... ჩვენი საღამო, სახელნოდებით – „ამ ქუჩის ბოლოს", 4 აპრილს შედგა და, ჩვენდა გასაოცრად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. ცრემლმორეული ვუსმენდით ხანგრძლივ აპლოდისმენტებს და არც ვიცოდით, მადლობა როგორ გამოგვეხატა.

საღამოს შემდეგ, უამრავი ადამიანი გვიკავშირდებოდა. შთაბეჭდილებას გვიზიარებდა, რომ დიდი ხანია, ასეთი სიამოვნება არ მიუღიათ. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, არა იგივე, არამედ სრულიად ახალი თემატიკით წარვმდგარიყავით ხაშურის საზოგადოების წინაშე.

2 მაისს ხაშურის სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში გაიმართა ჩვენი მეორე, პატრიოტული ჟანრის საღამო – „მოუარეთ საქართველოს".

მობილური ტელეფონით ვიღებდი ფინალურ სცენას. როდესაც აპლოდისმენტების ხმა გავიგონე, მაყურებლისკენ მივბრუნდი და... მოულოდნელობისგან გავოგნდი:

ფეხზე მდგარი დარბაზი ცრემლმორეული უკრავდა ტაშს. ეს დაუვიწყარი წუთები იყო...

მესამედ, ჩვენს ჯგუფს კვლავ მუზეუმმა უმასპინძლა, მუზეუმის დღეებთან დაკავშირებით გამართულ კვირეულში. ეს საღამოც თბილი, ნარმატებული და შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

სიამაყით ვისმენდით ბატონ მურად მთვარელიძის, ქალბატონ ეკა ბაქრაძის, მაყვალა ხაჩიძისა და სხვათა შეფასებას. ბატონმა თამაზ ლაკრაბიძემ ჩვენს შემოქმედებას პოეზიის სპექტაკლი უნოდა.

და აი.. დავდიგარ ხაშურის ქუჩებში ჩემს არაჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად და მხვდება ბევრი, ძალიან ბევრი გულნრფელი ღიმილი, რაც ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია.

პოეზიას აქვს საოცარი უნარი, ჩაგახედოს სულში, გატაროს იდუმალი ხვეულებით, აგატიროს, გაგაცინოს, გაგახსენოს, დაგანახოს და გადაგარჩინოს კიდეც.

ჯგუფი „ამომავალი მზის სახლი"

„ამომავალი მზის სახლი" დავარქვით ჩვენს ჯგუფს, რომლის წევრები არიან: ლუკა ლაკრაბიძე, ნოდარ კაპანაძე, მარიამ ბუაძე, მარიამ ტაბატაძე, მართა ბურნაძე, ნუცა მახათაძე, მარიამ ღონღაძე, მარიამ აბაზაძე, ლიკა ხუჯაძე, ნინი მჯედლიშვილი, გიორგი ლაკრაბიძე. 26 ივნისს, ახალ საღამოს ვგეგმავთ კვლავ სამუსიკო სკოლის დარბაზში, სახელნოდებით – „მძიმეა ტვირთი", რომელიც მეფე-პოეტის – გალაკტიონის პოეზიასა და ცხოვრებას მიეძღვნება.

მიყვარს ჩემი ჯგუფის წევრები, ჩემი პატარა, მაგრამ უკვე დიდი ადამიანები. თავდაც ბევრს ვსწავლობ მათგან. საქართველო მუდამ იარსებებს, რადგან ამომავალი მზის სხივებივით ანათებს ასეთი საოცარი თაობა, რომელსაც უყვარს მოყვასი, სამშობლო და ეს ბევრის მთქმელია!

ხაშურს არასოდეს აკლდა გემოვნებიანი მსმენელი. მადლობა ყველას, ვინც ცდილობს, კულტურა, ხელოვნება, – სულისთვის აუცილებელი სამყარო ჩვენი რაიონის ღირსეული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები გახადოს. განსაკუთრებული მადლობა, მუდამ ენერგიულ და გამორჩეულ ქალბატონს – ეკა ბაქრაძეს.

ლუკა ლაკრაძე

რედაქტორი ეკა ბაქრაძე